საქართველოს კანონი

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №29-30/5, 11 დეკემბერი, 1996, გვ. 6) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ქონებრივი უფლების მოპოვება

მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ქონებრივი უფლების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გადამუშავებისა და ათვისების უფლების მოპოვება წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2277-IIს